# ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1893

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1893


თავმჯდომარე ზედამხედველის კომიტეტისა და საზოგადო კრებისა წევრთ საზოგადოებისას „მიხეილის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკი ქუთაისში" ამით აუწყებს ბ.ბ. წევრთა ამა საზოგადოებისა, რომ 10 დეკემბერს 1893 წლისას დანიშნულია მისგან ბანკის სადგომში სხდომა საზოგადო კრებისა განსახილველად მორიგის საქმეებისა, რომელნიც უნდა განეხილა ამა წლის მაისის თვეში შეჩერებულს საზოგადო კრებას სახელდობრ: ამორჩევად თანამდებობის პირთა: ზედამხედველის კომიტეტის წევრთა, გამგეობის თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა კანდიდატებისა.

თავმჯდომარე ზედამხედველის კომიტეტისა და საზოგადო კრებისა თავადი ალექსანდრე წულუკიძე

---

გამოვიდა და ისყიდება

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

**არაკები** სიბრძნე-სიცრუიდგან ყრმათათვის. ფასი 25 კაპ.

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა

**სიბრძნე-სიცრუე** საბა-სულხან-ორბელიანისა. ფასი 75 კაპ.

იგივე კარგ-ქაღალდზედ 1—50 კ.

(3—0—1)

---

## ტფილისი, 9 ნოემბერს.

ჩვენს ლიტერატურაში, სხვათა შორის, ერთი დიდის მნიშვნელობის საგანი იყო დარჩენილი უყურადღებოდ. როგორც გვახსოვს, არავის უამბნია ჩვენის ქვეყნისათვის ვითარება ჯავახეთისა, არავის აღუწერია ცოტად თუ ბევრად ვრცლად და ხერხიანად. ეს საგანი-კი, როგორცა ვსქთვით, დიდის მნიშვნელობის საგანია და ღირდა იმათ, რომ დიდი ყურადღებაც მიჰქცეოდა.

აი ეს დიდი ნაკლი ჩვენის მწერლობისა შეავსო ბ-ნ ილ. ალხაზიშვილის წერილებმა ჯავახეთის შესახებ. ამ წერილებით მან გაგვითვალისწინა საკმაოდ ვრცლად და დაწვრილებით, რამდენადაც კი გაზეთში ადგილის სიცოტავენებას აძლევდა, ბუნება ჯავახეთისა, მისი ფლორა და ფაუნა, მისთა მკვიდრთა დღევანდელი ყოფაცხოვრება, წარსული თავ-გადასავალი, საისტორიო და საარქეოლოგიო ნაშთთა ვითარება და სხ.

ბ-ნი ილ. ალხაზიშვილი ვით ძველთა დროთა გულ-დამშვიდებული მემატიანე, მოგვითხრობს ჯავახეთის ამბავს. მოგვითხრობს იმ ქვეყნის ვითარებას, საცა ოდესმე ცხოვრება სდუღდა და გადმოდიოდა, საცა ქართველის მაჯა სცემდა ღონივრად და მისნი „საქმენი საგმიროնი" აკვირვებდა არა ერთისა და ორის ქვეყნის მკვიდრთა და ტომთა. ჯავახეთი ნაწილია იმ ქვეყნისა, იმ სამხრეთ საქართველოსი, რომელსაც სამცხე-საათაბაგო ეწოდებოდა ძველად, და რომელიც, როგორც კლდე, ისე გულ-და-გულ ედგა ჩვენის ქვეყნის მტერს. საქართველო თითქმის მხოლოდ ამ მხრით იყო ბუნებით შეუზღუდველი, მის მტერს მხოლოდ აქეთ ჰქონდა გზა ჩვენს ქვეყანაში შემოსევისათვის და აი სწორედ აქეთ მოიწევდა ისიც საშინელის ძლიერებით, ბარბაროსულის მტარვალობითა და მძულვარებით. მაგრამ ჯავახეთი და საზოგადოდ სამცხე-საათაბაგოს მკვიდრნი ღირსეულს პასუხს აძლევდნენ მოზღვავებულს მტერს, მედგრად ებრძოდნენ ბარბაროსობას და თავს აკლავდნენ ზედ-მოსეულთ.

ქვეყანა-კი დაიხსნა ჯავახეთმა, მაგრამ ქვეყანამ ეედარ დაიხსნა წინა-ბრძოლობით დაუძლურებული, სისხლით დაცლილი, წამებული ჯავახეთი!..

დღეს ამ ქვეყანაში ქვეყანა-ღაა დარჩენილი, სხვას კი ყოველსავე ფერი უცვლია და ქართველობის ნიშან-წყალიც აღარსადა სჩანს: თვით ქვეყანასაც, რასაკვირველია, სხვა გასჩენია, ხალხი სხვა ტომით დასახლებულა და სხვა სტებება ჯავახეთის სიკეთით, ჯავახის ნაამაგარითა და ნაჭირნახულევით.

ჯავახეთში ეხლა მრავლად მოსახლობენ ბერძნები, სომხები, არიან ქურთებიც, ხოლო თვით ჯავახნი-კი ძალიან და ძალიან შემცირებულან. სულ მცირედს მათს ნაწილს კიდევ შეჰრჩენია მართლმადიდებლობა და ქართველობა, უმრავლესობას-კი მიუღია სარწმუნოება მაჰმადისა, გათათრებულა. ბევრნი ამათ შორის გადასახლებულან ოსმალეთში, ხოლო ვინც დარჩენილა, ისინიც ნელ-ნელა მიდიან და დღე-დღეზე ეპირებიან წასვლას; ვინც დარჩენილან, ისინიც მწარე საგონებელში ჩავარდნილან, ორ ცეცხლ-შუა იწვიან და, თუ ერთის მხრით ენანებათ მამა-პაპეული ადგილ-მამული, სადაც შობილან და გაზრდილან, სადაც მამა-პაპა ეგულვით და სადაც მათ ძვირფას წინაპართა ძვლები მარხია, მეორეს მხრით, ვეღარ მოჰრიგებიან დღევანდელ თავიანთ გაჭირებულს ცხოვრებას, დღევანდელს თავიანთ გათახსირებას...

ოღონდაც რომ გათახსირებაა! «ეჭვი არ უნდა, ამბობს ბ-ნი ი. ალხაზიშვილი, რომ განვლენ დრონი, ჟამნი და ეს დიდებულნი ნაშთნიც (ეკკლესია-მონასტრები), მდუმარე მოწმენი ქართველების დიდებისა ამ მხარეში, განჰქრება წვიმისა და ქარიშხალისაგან, უზრუნველობისა და დაუდევრობისაგან. იქმნება ადამიანის ხელიც არ დაერიდოს ამ წმინდათა-წმინდას შეხებასა და განადგურებასაო».

ამას წინად ჩვენის თვალითაცა ვნახეთ ჯავახეთი და მწარე ფიქრებმა წაიღო ჩვენი გონება. სად-ღა-რაა? ქართველობა თითქმის სრულიად გამქრალა; ვინც დარჩენილა, ისინიც უმწეოდ და ობლად ატარებენ თავიანთ სიცოცხლეს, არსად მანუგეშებელნი და ხელის შემწყობნი არა ჰყავთ. აქაიქ კანტი-კუნტად გადარჩენილი ჯავახთა სოფლები სხვა ტომთა ზღვაში, ოკეანეს პატარა კუნძულებსა ჰგვანან, რომელთა კიდეთაც ზარითა და ღრიალით ეხეთქება აზვირთებული ზღვა ეხლანდელის დაუნდობელის ცხოვრებისა. დიაღ, საშინელს ქარ-ტეხილს გრიგალივით გადუვლია ამ წამებულს მხარეზედ და ყოველივე ამოუგლეჯია, რაც-კი რამ ჩვენი ყოფილა, რასაც ქართველობის ფერი და იერი სდებია!

ყოველივე ეს ფრიად სამწუხარო და დასაღონებელი ფიქრი და აზრი ესევა თქვენს გონებას, როცა ჰკითხულობთ მეტად საინტერესო წერილებს ბ-ნ ილია ალხაზიშვილისას. ნუგეშადა და სალბუნებელად ის და გრჩებათ, რომ ამ ქვეყანასაც მოვლინებია თითო-ოროლა თავ-გამოდებული ქართველი, რომელთაც სულითა და გულით მოუნდომებიათ მისი სამსახური, მისი ერთგულება. ბ-ნ ი. ალხაზიშვილის წერილში რამდენიმე საგრძნობელი სიტყვაა ნათქვამი ამისთანა კაცების შესახებ. ერთი ამისთანა კაცი ყოფილა, სხვათა შორის, ბ-ნი ივ. როსტომაშვილიცა, ინსპექტორი ახალქალაქის სამოქალაქო სასწავლებლისა, რომელსაც განუზრახავს შემოიაროს მთელი საქართველო და მაზრა-მაზრად აღწეროს; ამ აზრით, ამ მხნე კაცს შეუსწავლია ფოტოგრაფიის ხელოვნება და უნდა გადაიღოს ყოველი შესანიშნავი ნაშთნი, მათი ზედ-წარწერანი, სანახავნი და სურათნი ბუნებისა და ცხოვრებისანი, ჩაურთოს აღწერაში და მით განაცოცხლოს და თვალწინ წარმოგვიდგინოს ჩვენი ქვეყანა თავის წარსულითა და აწმყოთი. ამ საქებურის განზრახვის სისრულეში მოყვანას ბ-ნი როსტომაშვილი უკვე შესდგომია და აუწერია კიდეც ჯერ-ჯერობით მთელი ჯავახეთი.

ესეთი აღწერა და ალბომი ჯავახეთისა, რაც უნდა ბევრი ნაკლულევანება ჰქონდეს, მაინც დიდი შესამატი და განძი იქმნება ჩვენის მწერლობისა და ლიტერატურისათვის და საპატიო სახელსაც მოუხვეჭს ავტორს. როგორც წერილები ბ-ნის ილ. ალხაზიშვილისა, დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში, ისე ვრცელი აღწერა ჯავახეთისა ალბომითურთ, შედგენილი ბ-ნ როსტომაშვილის მიერ, დიდს ხალისს გაუღვიძებს ჩვენს საზოგადოებას მივიწყებულ ჯავახეთის მიმართ. ეს დიდი სამსახურია ქვეყნის წინაშე და ჩვენი მწერლობა და ლიტერატურა მოვალეა სიხარულითა და მადლობით მიეგებოს ასეთს ღვაწლს. ვისურვებთ მხოლოდ, რომ ჯავახეთის ვრცელი აღწერა ბ-ნ ივ. როსტომაშვილისა და მისი ალბომი მალე იქმნას დასტამბული ცალკე წიგნად. იმედი გვაქვს გამოჩნდება ვინმე ჩვენში ისეთი შეძლებული ადამიანი, მოყვარული ჩვენის ლიტერატურისა, რომელიც ამ შემთხვევაში საჭირო დახმარებას აღმოუჩენს ფულით ამ უანგაროსა და პატიოსანს მუშაკს.

ა. ფრონელი

---

# ფელეტონი

## უკანასკნელი პასუხი

თ. ჭავჭავაძემ კიდევ დაბეჭდა წერილი თავის გაზეთში (№ 234) ჩემს წინაალმდეგ, რომელსაც წინასიტყვაობადაც ბროსეს პრემიის საქმე წაუმძღვარა და ბოლოშიაც იგივე მიაკერა, ცხადია, რა განზრახვითაც. ეს კიდევ ცოტაა, იქნება ეს საქმე დღეის იქით ყოველ დღე ამეორებინოს იქ, სადაც გაზეთის „დაკვეთის" პირობები აქვს დაბეჭდილი. დეე, გამოიჩინოს ამითი საზოგადო ქონებისადმი გულ-მტკივნეულობა, შეიმოსოს ქვეყნისათვის მზრუნველ რაინდის შესამოსელში, მორთოს გოდება რამდენიც სურდეს; დეე თუნდა განგებ დაივიწყოს კიდეც, რომ მე მკითხველს საზოგადოებას შევატყობინე მთელი ამ საქმის გარემოება და მასვე გავუსწორდები; დეე ბუკ-საყვირები მოიმართოს ამ საქმის გასაზვიადებლად,—მე მასთან ამ საგანზედ სალაპარაკო აღარა მაქვს-რა.

სალაპარაკო აღარა მაქვს-რა იმ კაცთან, რომელიც ყოველს ჩემს საკითხს ან ყურს უყრუებს, ან სიტყვას ბანზე აგდებს და განძრახ აქარწყლებს მის მნიშვნელობას.

სალაპარაკო აღარა მაქვს-რა იმ კაცთან, რომელიც ჩემს სრულიად კანონიერს სურვილს, რომ მედიატორეთა სამართლით გარჩეულიყო ეს დაუსრულებელი დავიდარაბა და აწონილიყო საქმის ყოველივე გარემოება—უარსა ჰყოფს და სამაგიეროდ უკადრისის ლექსით და უკადრისად სიტყვის გადაკვრით ვითომ და რაღაც საიდუმლო ამბებზე თავიდან იშორებს ამ მისთვის უსიამოვნო პასუხის მოთხოვნას.

სწორე მოგახსენოთ, მე არ ვაპირებდი სრულიად ხმის გაცემას თ. ჭავჭავაძის უკანასკნელ ფელეტონზედ და თუ ვწერ კიდევ რასმე, ვწერ მხოლოდ ორის განზრახვით: ერთი, ვთხოვო მკითხველებს გულდადებით გადაიკითხონ მისი უკანასკნელი ფელეტონი, შეადარონ ჩემს წერილთან და თვითვე გამოარკვიონ სიმართლე და მეორე—დავასურათო, თუ როგორ ესმის თ. ჭავჭავაძეს მედიატორეთა სამართლის მნიშვნელობა.

აი, რა სიტყვებით ამბობს იგი უარს ამ სამართალში გამოწვევაზე:

> «მე თ. მაჩაბელთან არავითარი მოსარიგებელი საქმე არა მაქვს და ღვთით არც არასოდეს მექმნება. თუნდ ეგეც არ იყოს, ერთი ჰკითხეთ, ბანკის საქმეში სამედიატორო რა არის? ნუ თუ ჰგონია ბანკი ან მისი, ან ჩემი კუთვნილებაა და ვინ რამდენი წილი უნდა ჩაიდოს, ამას მედიატორები გამოგვირკვევენ?..ჩვენი მედიატორები ჩვენი კრებაა ბანკისა... თუ რამ სათქმელი აქვს თ. მაჩაბელს, იქა სთქვას და თუ მისი თქმული პასუხის ღირსი იქნება, პასუხს მიიღებს... მე ვთაკილობ ამისთანა ბავშვურ კამათობას და გამოწვევას და სხვ.!!

ეს გახლავთ მიზეზი უარისა. მე თურმე ბანკის გაყოფა მინდოდა თ. ჭავჭავაძესთან, შუა კაცებს ვირჩევდი და რად დამყაბულდებოდა ამისთანა ბავშვურ წინადადებაზედ ეს ბუმბერაზი ჩვენის ლიტერატურისა, ეს დარაჯი ჩვენის კეთილ-დღეობისა, ეს საყოველთაო მზრუნველი, რომ საზოგადოების ავლა-დიდებას არავითარი ზიანი არ დაემართოს. როგორ არ უნდა ეთაკილნა ამისთანა ბავშვური კამათობა, მედიატორეთა სამართალში გამოწვევა და აკი თაკილობს კიდეც.

მართალია, ის არა თაკილობს ჩაჩუმებას ყოველ ჩემ საკითხზე, რის პასუხიც ვერ მოუძებნია თავის სალანძღავ კარაბადინში,—

და მედიატორეთა სამართალში გამოწვევას-კი თაკილობს!

ის არა თაკილობს იმას, რომ სხვის ნაწერი, სხვისგან ხელ-მოწერილი მე მომაწერა და დღესაც კიდევ მიკიბმოკიბული გზით ცდილობს მე მომახვიოს თავზედ, თუმცა თვით იმისაგანვე ამონაწერი სრულიად სხვას ამტკიცებს,—

და მედიატორეთა სამართალში გამოწვევას-კი თაკილობს!

ის არა თაკილობს იმას, რომ ხელმოუწერელი წიგნის (ბროშიურა: „თ. ილია ჭავჭავაძე და იმისი მოღვაწეობა", გამოცემული 1892 წ.) ავტორობა მე მომაწეროს, თითო სიტყვა და ფრაზა იქიდგან ამოჰგლიჯოს, ერთიერთმანეთთან დაუკავშირებლად და საზოგადოებასთან მაბეზღოს,—აი მაჩაბელი როგორ უმართებულად გიხსენიებდაო,—

და მედიატორეთა სამართალში გამოწვევას-კი თაკილობს!

ის არა თაკილობს გულთა-მხილაობას და ფსევდონიმების გამოცნობას, ის, რომელიც თავისავე „ივერიაში" ასე ცხარედ ჰკიცხავდა ამ გვარ საქციელს ერთის მწერლისას:

> „ეს „მართებული" მწერალი თავის მოკამათის ფსევდონიმსაც ფარდასა ჰხდის, მართებულობის ამ ერთად-ერთს ყველასათვის წმინდად და ხელ-შეუხებლად აღიარებულს წესსაც ლახავს და დაურიდებლად აბიჯებს ზედა..." (გაზ. „ივერია", № 170, 1891 წ.)

და ეხლა, რაკი გაჭირება დაადგა, თვითვე ცდილობს ფსევდონიმის გამოცნობას და «მართებულობის ამ

# ახალი ამბავი

*** კვირას, 7 ნოემბერს, ქალაქის საბჭოს კრება იყო. ამ კრებაზედ უნდა აერჩიათ ქალაქის მოურავი ოთხის წლის ვადით. კანდიდატებად დასახელებულნი იყვნენ ცხრანი, მათ შორის შაჰ-აზიზოვიც (სამის ხმით), ხოლო პ. ა. იზმაილოვის გარდა ყველა კანდიდატმა უარი განაცხადა.

კენჭი უყარეს მხოლოდ პ. ა. იზმაილოვს და კიდეც ამორჩეულ იქმნა 62 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 8-სა. ხმოსნებმა ტაშის ცემით მიულოცეს ამორჩევა.

*** იმავე კრებაზედ ქალაქის საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ საქონლის ხორცის ნიხრი შეცვლილი იქმნას და ხორცის ფასად 6 კაპ. მაგიერ 7 კაპ. დაინიშნოს.

*** სოხუმში დაარსდა საეკკლესიო საარქეოლოგიო კომისია, რომელსაც საგნადა აქვს შესწავლა ადგილობრივ ეკკლესიის ისტორიისა.

*** სახელმწიფო რკინის გზათა უმთავრესის მმართველობის თავმჯდომარე გარჩაკოვი გუშინ ტფილისს დაბრუნდა იმიერ კასპიის მხრიდგან.

*** ჩვენ გვქონდა შემთხვევა გვენახა რამდენიმე სურათი ახალქალაქის მაზრის ბუნებისა და აწმყო-წარსულისა, გადაღებული ფოტოგრაფიით ახალქალაქის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორ ბ-ნ იე. როსტომაშვილის მიერ. ჩვენ ვნახეთ სულ ოთხი სურათი: წყალვარდნილი ახალქალაქის ახლო, სახლი ანტონ ივანეს-ძის ქანანოვისა სოფ. კოჰიოში, წითელ საყდრის ნაშთი და ნავით სეირნობა ტაბის-ყურის ტბაზედ სოფ. წითელ საყდრის ახლო. ოთხივე სურათი ჩინებულად არის გადაღებული.

*** პოლიციის ბოქაულმა თავ. თუმანიშვილმა შაბათს საღამოზე შეიპყრა გიორგი წირიკიძე, რომელიც ებრაელ მეერ რაშკევიჩის კვლაში გარეული და რომელიც პოლიციას ემალებოდა. წირიკიძემ პოლიცმეისტერს მოახსენა, რომ მეერ რაშკევიჩის მოკვლის შესახებ მე არა ვიცი-რა. მხოლოდ იმ დღეს, როცა იგი მოუკლავთ, ჩემს ლუდხანაში იყვნენ ისა და რამდენიმე სხვა და ლუდსა სვამდნენო.

*** კვირას პოლიციის ბოქაული სვიმონოვი ოთხის პოლიციის მოხელით და ნინიაშვილითურთ, რომელსაც მეერ რაშკევიჩის მოკვლა და გაძარცვა ჰბრალდებოდა, წავიდნენ მარტყოფის გზაზედ რაშკევიჩის გვამის საძებნელად. პოლიციამ გუშინწინ იპოვნა ამ კაცის მკვლელობის ახალი მოწამე, რომელმაც პოლიციას გამოუცხადა, რომ სამ მკვლელთაგანი ცხენებით მარტყოფისკენ წავიდნენ და იმავე ღამეს უკან დაბრუნდნენო. შესაძლოა, რომ რაშკევიჩის გვამი აკუწეს და სადმე მინდორში დამარხესო.

*** ხობი (სამეგრელო): მოსავალს აქეთ არ ემდურიან. სიმინდი ბლომად მოვიდა, აგრედვე ღვინოც. სამწუხაროდ, სიმინდს ძალიან მცირე ფასი აქვს, 30—35 კაპ. მეტად არ იყიდება ფუთი. მამულების გამიჯვნა გათავდა ბევრისთვის სასიხარულოდ და ბევრისთვის სამწუხაროდ. ქურდობა და ავაზაკობა, ცოტა არ იყოს; გახშირდა აქედ. წვიმებმა სული ამოგვართვა; გამუდმებით სწვიმს და კაცი მეზობელთან ველარ მისულა.

*** ფოთი· ნოემბრის პირველს დიდი ქარიშხალი და წვიმა იყო, შავი ზღვა საშინლად შფოთავდა და ღრიალებდა, ფოთის ბოლაზის კედელი ძალიან დააზიანა, კედელი გაუტეხნია, რკინით-რელსებით გამაგრებული სიმაგრე დაულეწია, თვით რკინები დაუგრეხია წყლის ძალასა.

*** ახალ-სენაკი: მოგეხსენებათ, რომ ჩვენს დაბაში დაარსდა ამ რამდენისამე წლის წინად ქართულ-წიგნების სამკითხველო. სამეგრელოში, როგორც ვიცით, სხვაგან არსად არ არის, ასეთი დაწესებულება. მცხოვრებნი-კი 260,000-მდე არიან. გურიაში, საცა 75,000 მცხოვრებნი არიან ბარე ხუთი სამკითხველო არსებობს. ახალ-სენაკის სამკითხველოს, რომელსაც თანაგრძნობით მიეგებნენ ყველანი, თვისი საკუთარი მკვიდრობა ჰყავს. სამწუხაროდ, ამ გამგეობას ჯერ არ გამოუცხადებია, რა მდგომარეობაშია ეს ნორჩი და სასარგებლო დაწესებულება: ან ფულით და ან წიგნებით შეეწია ვინმე თუ არა? ან რა სხვა წყარო. იმედია, რომ გამგეობა ყოველ გვარ ცნობას გამოაქვეყნებს სამკითხველოს შესახებ და მის თანამგრძობა შორის მეტს ხალისს გაადვილებს სამკითხველოს შემწეობისასა და დახმარებისას.

## სიტყვა ბ-ნ იზმაილოვისა

ბ-მა იზმაილოვმა შემდეგის სიტყვებით მიჰმართა საბჭოს:

„ბატონებო! ვერაფერი გულ-წრფელობა იქმნებოდა ჩემის მხრით, რომ უარი გითხრათ, რა რიგად ნასიამოვნები ვარ იმ პატივის ცემით, რომელიც დღეს თქვენ მე გამიწიეთ. ამაზედ ლაპარაკიც მეტად მიმაჩნია. ხოლო მე ის უფრო მახარებს, რომ ამ არჩევით თქვენ ამიერიდგან გზა გაუხსენით ქალაქის მოურავის ადგილის დასაჭერად ყველა იმას,—და ისინი ხომ ცოტანი არ არიან,—ვისაც ჩემსავით თავის გასამართლებლად ამისთანა ძნელ თანამდებობასა ჰკიდებს ხელსა, მხოლოდ ერთი საბუთი აქვთ—სიყვარული ქალაქისა, სურვილი ერთგულის სამსახურისა და იქმნება კიდევ ცოდნა ქალაქის საქმეებისა და სხვა არაფერი. ხოლო მე, ბატონებო, ჩემს თავს არ ვატყუებ და ძალიან კარგად მესმის, რომ იმ მრავალ კენჭთა შორის, რომლითაც თქვენ დამაჯილდოვეთ, იმისთანებიც არის, რომლებიც მე მერგო მხოლოდ გარემოების ერთ გვარად მოწყობის გამო, და ამისათვის ვიცი, რომ მე უნდა ვეცადო მარტო იმას-კი არა, რომ მცირე რიცხვი ჩემის თანამოაზრეების თანაგრძნობა არ დავკარგო, არამედ იმასაც, რომ ამისთანავე თანაგრძნობა დავიმსახურო იმათგანაც, ვინც ჩემი კანდიდატობა ძალა·უნებურად ინდომა. ეს გარემოება, ვგონებ, სრული თავმდებია იმისი, რომ მე სრულს ჩემს სუსტ ძალღონეს ქალაქის და მის მცხოვრებთა კეთილ-დღეობას მოვახმარებ. მხოლოდ თვალსაჩინო წარმატება იქნება გამაძლიერებელი იმ კავშირისა, რომელმაც დღეს მე თქვენთან დამაკავშირა. და რადგანაც ჩემი მოღვაწეობა თქვენსას სრულიად ეთანხმება, რადგანაც ერთნაირი აზრი გვამოქმედებს მეცა და თქვენც, და ამასთანავე ჩემი მოქმედება, ჩემის არჩევის პირობისამებრ, უნდა თქვენის მუდმივის თვალ-ყურის ქვეშ მიმდინარეობდეს, ამისათვის ნებას მივსცემ ჩემს თავს, დასასრულ, სრული იმედი გამოვაცხადო, რომ ჩვენი შრომა საერთოდ და თანხმობით არ დარჩება კვალ დაუმჩნეველი ჩვენის დედა-ქალაქის ცხოვრებაში“.

## დამაკვირდი

მიჯნურის სულს სხვის გულში აქვს ბინა.

**

ბედნიერი ის-კი არ არის, ვისაც აქვს, რაც უნდა; ბედნიერი ის არის, ვისაც რაც არა აქვს, არც უნდა.

**

ჰეჰელა, რასაკვირველია, მატლი არ არის, მაგრამ ოდესმე-კი მატლი იყო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ქ. ქ. მარიამ ჩაჩავასას, სალომე კერესელიძისას ელისაბედ ტკეციშვილისას, ბ-ნთ ქაიხოსრო მახარაძეს, გიორგი აბაშიძეს, არტემ კერესელიძეს, კონსტ. ჟორდანიას და იასონ გეგელაშვილს, რომელთაც შრომა არ დაიზარეს და სასარგებლოდ სტუდენტის გ. გვაზავასი და ადგილობრივ ორ-კლასიან სასწავლებლისა, კვირას, 31 ოქტომბერს, გამართეს ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს ანტონოვის კომედიები: „მე მინდა კნეინა გავხდე“ და „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“. საზოგადოება ბლომათ დაესწრო. მთელი შემოსავალი იყო 116 მან. 50 კაპ. სცენის მოწყობა, თუ პარიკმახერის მოწვევა ბათუმიდგან დაჯდა ოც-და-თორმეტი მანეთი. წმინდა შემოსავალი დარჩა 84 მანეთი 50 კაპ., რომლიდგანაც ხვედრი ჩემდა რწმუნებულის სასწავლებლისა 42 მან. 25 კაპ. უკვე მივიღე.

უმფროსი მასწავლებელი ოჩემჩირის ორ-კლასიან სასწავლებლისა ლაზ. ხმალაძე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

Судебная Газета-ს რავდენიმე საყურადღებო აზრი მოჰყავს იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში შეუძლიან ადმინისტრაციას ბრალდებულის დაპატიმრება:

უოველი დაბოლოვებით დადგენილი სისხლის სამართლისა, რომლითაც ვინმე დაპატიმრებით უნდა დასჯილ იქმნას, თუ ბრალდებულმა საკასაციო სასამართლოს საჩივარი მიართვა, და აღსრულებაში არ იქმნება მოყვანილი, ვიდრე ამ განაჩენს, უმაღლესი სასამართლო არ დაამტკიცებს (239 მუხლი სასამართლოს საქმეთა წარმოების დებულებისა).

აქედგანა სჩანს, რომ კანონი დიდის სიფრთხილით ეკიდება ყოველ კაცის თავისუფლებას და არ შეიძლება დაპატიმრებულ იქმნას სასამართლოში დამნაშავედ ცნობილი კაცი.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, საერო უფროსებს (21 მუხლი დებულებისა), ნება აქვთ, ყველა ვინც-კი მათ კანონიერ განკარგულებასა და მოთხოვნილებას არ შეასრულებს, დააპატიმრონ გაუსამართლებლად სამის დღის ვადით, ანუ ჯარიმა გადაახდევინონ არა უმეტეს ექვსის მანათისა. ამ კანონით ბევრად გაადვილდა კაცის თავისუფლების შევიწროვება. ჩვენ ვიცით ბევრი საერო უფროსები, რომელნიც იმითი სარგებლობენ, რომ დებულების 61 მუხლის ძალით დადგენილ განაჩენზედ საჩივრის მიცემა და საქმის გადატანა უმაღლეს სასამართლოში აღარ შეიძლება, და სულ უბრალო რამეზედ აპატიმრებენ.

გაზეთს არ მოსწონს ეს საქციელი და არც ეთანხმება იმათ აზრს, ვითომც კანონით შეეძლოთ ყველას დაპატიმრება, როდესაც-კი თვითონ დაინახვენ საჭიროდ.

ზემოდ მოყვანილ 61 მუხლში, რომ გამორკვეული არ იყოს, რა შემთხვევაში შეუძლიანთ საერო უფროსებს უაპელაციოდ დასჯა განუჩინონ ყველას, ვინც მათ ურჩობა გაუწია, მაშინ, რასაკვირველია, არა გვეთქმოდარა და უნდა იმათს აზრს დავსჯერებოდით. ხოლო იქ პირდაპირ არის ნათქვამი, ვინც „კანონიერს“ განკარგულებასა და მოთხოვნილებას არ შეასრულებსო. ამიტომ სრულიად უკა-

---

ერთად-ერთს ყველასათვის წმინდად და ხელ-შეუხებლად აღიარებულს წესსაც ლახავს და დაურიდებლად აბიჯებს ზედა“.

ამას არა თაკილობს,—

და მედიატორეთა სამართალში გამოწვევას კი თაკილობს!

ის არა თაკილობს იმას, რომ წიხლი ჩასცხოს თავისს ნაამხანაგარს, ოდესმე მისთვის თავ-გამოდებულს, რომელიც პასუხის მიცემის ღონეს მოკლებულია და რომელზედაც ჯერ სამართალს მსჯავრი არ წარმოუთქვამს; არა თაკილობს ამას, ოღონდ ამითი მე როგორმე ცილი დამწამოს და გამაწბილოს,—

და მედიატორეთა სამართალში გამოწვევას-კი თაკილობს!

ის არა თაკილობს მისგანვე დაბეჭდილ მისივ ნათქვამის გადასხვაფერებას, და როდესაც ერთსა და იმავე საგანზედ ორი სრულიად ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგი მისგან წარმოთქმული აზრი წარვუდგინე, ამ სახით თავის გამართლებას: მე პალატის გარდაწყვეტილება მოვიწონე და ვაქე და არა მაჩაბლის რედაქტორობაო. (?!) (სცანით ყველამ ეს ახალი ამბავი: ქ. თბილისში აღმოჩენილა უმაღლესი ინსტანცია სასამართლოსი, რომელიც პალატის გადაწყვეტილებას „იწონებს და აქებს“) ან ერთი ჰკითხეთ, ჩემს ქებაზედ ან ჩემის რედაქტორობის ქებაზე ვინ რას ამბობდა ჩემს წერილში, რომ ამ სიტყვას ჩაჰფრენია და ცდილობს ამითი ფონს როგორმე გავიდეს!

დიაღ, ყოველსავე ამას არა თაკილობს.

და მედიატორეთა სამართალში გამოწვევას-კი თაკილობს და მიბრძანებს: ნუ თუ ჰგონია მაჩაბელს, ბანკი ან მისი, ან ჩემი კუთვნილებაა და ვინ რამდენი წილი უნდა ჩაიდოს, ამას მედიატორეები გამოგვირკვევენო?

ნუ თუ ჰგონია მართლა თვით თ. ჭავჭავაძეს, რომ ასს იმის მკითხველში თუნდ ერთი მაინც მოიპოვებოდეს იმისთანა, რომელსაც არ ესმოდეს, თუ რა აზრით არის ყველა ეს ნათქვამი?! თუ ასე ჰგონია და თუ თითონაც არ ესმის მედიატორეთა სამართლის მნიშვნელობა, მაშინ მე ავუხსნი, რაც მინდოდა გამომერკვია და რისთვისაც ვითხოვდი და დღესაც ვითხოვ მედიატორეთა სამართალს:

ამ სამართალს დავუყენებდი წინ მთელს თ. ჭავჭავაძის მოღვაწეობას ბანკის საქმეში და მასვე თვალსაჩინოდ დავანახვებდი,—თ. ჭავჭავაძეს მიაჩნდა თავისა და თავის მოყვასთა კუთვნილებად ეს ბანკი, თუ მე მიმაჩნდა, მე, რომელიც ვცდილობდი შეძლებისამებრ იქ დაბუდებული ნათლიმამობა და მოყვასობა მომესპო.

ამ სამართალს მივანდობდი გარდაწყვეტას და საბუთად თვით თ. ჭავჭავაძის დაბეჭდილ სიტყვებს წარვუდგენდი იმის დასამტკიცებლად,—თ. ჭავჭავაძეს ესმოდა რამ იმ საქმისა, რომელზედაც რიხითა და გრგვინვით ქადაგებდა, თუ იმის სიტყვებში ოოტის ოდენა ცოდნაც არ იყო და ამ უმეცრების გზაზედ დადგომით რამოდენი ზარალი მოუტანა ბანკს.

ამ სამართლით დავუმტკიცებდი, თუ როგორ წლითი-წლობამდე თვალს უხვევდა საზოგადოებას და თავის უმეცრებას პილპილ მოყრილი სიტყვებით ფარავდა; თუ როგორ უმართებულოდ იხსენიებდა თავისავე გაზეთში იმ კრებას ბანკისას, რომლის მოსარჩლედაც ეხლა იგი გამოდის. დავუმტკიცებდი, თუ პირადად ჩემს წინააღმდეგ რა ცილის-წამებას აბეჭდვინებდა თავისა და სხვის გაზეთებში, აწოდებდა მოგონილ ამბებს მისგანვე შეთხუზლს და მთელის გამგეობისაგან კვერ-დაკრულს.

თუ მაინცა და მაინც არ დაიშლიდა თ. ჭავჭავაძე და მოიწადინებდა იმ წიგნის გახსენებას, რომლის ავტორის გამოცნობასაც ასე „მართებულობის წესის შელახვითა“ სცდილობს, მე მზად ვიყავ იმავე სამართლის წინაშე თავიდან ბოლომდე, ანიდან ჰოემდე გამერჩია ის წიგნი და დამემტკიცებინა ყოველივე მასში წარმოთქმულის სიმართლე.

დასასრულ, იმ სამართალს მივანდობდი იმის გამორკვევას, თუ როგორ მოიქცა ჩემ შესახებ ბროსეს პრემიის და გაზეთის ვალების შესახებ და მივანდობდი სხვას კიდევ ბევრს, რომელთანაც ყველა ზემონათქვამი იქნება არაფრად გამოჩენილიყო.

თავის მხრით თ. ჭავჭავაძეს შეეძლო, რა ბრალიც სურდა ის ბრალი წარმოედგინა ჩემს წინააღმდეგ და მაშინ საზოგადოება ცხადად დაინახავდა ყველას სიმართლეს და სიმტყუნეს და ავად თუ კარგად მოისპობოდა ეს გამწვავებული განხეთქილება ჩვენს საზოგადოებაში, რომლის მოსპობის მონატრენი ყოველთვის ვყოფილვართ და ვართ.

მაგრამ თ. ჭავჭავაძე თაკილობს ამისთანა ბავშვურ კამათობას და გამოწვევას და წამლად ამას გვირჩევს: „ჩვენი მედიატორები ჩვენი კრებაა ბანკისა... თუ რამ სათქმელი აქვს მაჩაბელს, იქა სთქვას და თუ მისი თქმული პასუხის ღირსი იქნება, პასუხს მიიღებსო.“

ნონი იქმნება დასჯადმრებე იმ კაცისა, რომელიც ერობის უფროსმა დაიბარა საჩივარის გამო პასუხის საკითხად, და დაბარებული-კი არ გამოცხადდა.

ჯერ ერთი, სავალდებულო არავისთვის არ არის მისვლა ყოველ შემთხვევაში, როცა-კი იბარებენ, პირიქით სამოქალაქო და სისხლის სამართალიც ნებას აძლევს მომჩივანსაცა და მოპასუხესაც ან სულ არ გამოცხადდენ, ან არა და ვექილი გამოგზავნონ თვის მაგიერ, გარდა იმ საქმეებისა, რომლითაც დაბარებულს ისეთის დანაშაულის ჩადენა ჰბრალდება, რომლისთვისაც მძიმე სასჯელი ანუ ციხეში დაპატიმრება მოელის.

მეორეც, უკეთუ მომჩივანი ანუ მოპასუხე არ გამოცხადდა, ჯარიმა უნდა გადაიხადოს, ან მის საქმეს ევნება რამე და დაპატიმრებაზედ-კი არსად კანონში სიტყვაც არ არის.

ამისათვის, თუ სიტყვიერად იჩივლა ვინმემ საერობო უფროსთან, საქმე უნდა შესდგეს და სწარმოებდეს თანხმად აღნიშნულ დებულების 41, 63, 85, 179, 189 და 197 მუხლებისა, და უკეთუ საქმე სულაც არ შესდგა და საერობო უფროსს მოუნებებია მხოლოდ გაიგოს იმის პასუხი, ვიზედაც უჩივლიათ, მაშინ თვით ამისთანა დაბარებაც უკანონოა და, ვინც ეს განკარგულება არ შეასრულა, ვერ იქმნება დასჯილი თანხმად იმავე 61 მუხლისა.

**

ფრანგ-რუსთა დღესასწაულე[ბ]ის შესახებ რუსულმა ჟურნალებმაც დაიწყეს წერა. ჟურნალი „Вѣст. Евр.“ სწერს სხვათა შორის:

ფრანგ-რუსთა დღესასწაული დიპლომატებმა და კაბინეტებმა-კი არ გამოიწვია, იგი გამოიწვია თვით საფრანგეთის ერმა. რუსეთის წარმომადგენელთ და რუსეთის ესკადრას საფრანგეთში პატივი სცა თვით რესპუბლიკის ერმა, და შეიძლება ვსთქვათ, რომ ამ ერის სურვილი კანონად შეიქმნა თვით მთავრობისთვის. ასე მოიქცა საფრანგეთის ერი მხოლოდ იმიტომ, რომ ევროპის აწინდელმა მდგომარეობამ, ე. ი. შეიარაღებულმა მშვიდობიანობამ აიძულა, რომელსამე მძლავრ სახელმწიფოს მიმხრობოდა. ყველა სახელმწიფოს ერი სცდილობს ისე მოიქცეს, როგორც მოითხოვს მისი სარგებლობა და ინტერესები და საფრანგეთიც, რასაკვირველია, ასე უნდა მოქცეულიყო. ჯადემიკოსმა კოგიუმ სთქვა: „ფრანგთ-რუსთა ხანა“ დადგაო. ამისი რა მოგახსენოთ, ერთი კვირა-კი მართლა რომ ფრანგ-რუსთა იყო პარიჟსა და მთელს საფრანგეთში. ხოლო რა შედეგი მოჰყვება ამ ერთის კვირის დღესასწაულებს, ჯერ ვერას ვიტყვით. ამას მომავალი გვიჩვენებს.

დიდი შეცდომა იქმნება ჩვენის მხრით ვიფიქროთ, საფრანგეთის ერი იმიტომა გვცემს პატივს, რომ ჩვენი ღირსება დააფასა. საფრანგეთი ეძებდა მომხრეს და, მისის აზრით, ეს მომხრე იშოვნა, — ეს არის მიზეზი მისის სიხარულისა. ხოლო რუსეთი არ ეძებდა მომხრეს, და გგონია, არც არის მისთვის მომხრეს ძებნა საჭირო, მაგრამ მაინც ეს ახალი კავშირი სასიამოვნო და სასარგებლო იქმნება.

## რუსეთი

დ. ვ. გრიგოროვიჩმა, რომლის 50 წლის იუბილეი იდღესასწაულეს ამას წინად პეტერბურგში, შემდეგის სიტყვებით გამოუცხადა მადლობა დიდძალ კრებას:

დიდად ნასიამოვნები ვარ, რომ ერთხელ კიდევ მხვდა წილად ბედნიერება და ხელმწიფე იმპერატორმა მომაქცია უმოწყალესი ყურადღება. თქვენ, თქვენო იმპერატორებითნო უმაღლესობანო, გულითა გმადლობთ დიდის პატივისცემისათვის, რომელიც იხატება თქვენის აქ მობრძანებით. გულითადს მადლობას გიძღვნით თქვენც, ბატონებო და ქალბატონებო, თქვენის თანაგრძნობისათვის, რომელიც ჩემთვის ძვირფასია. მე ყოველთვის თავდაბლად ვუყურებდი ჩემს სალიტერატურო და სახელოვნო მოღვაწეობას და — გამოგიტყდებით წრფელის გულით, — არ მოველოდი ესეთს პატივისცემას. ამ პატივისცემას სრულიად მე არ ვისაკუთრებ. უმეტესი ნაწილი ლიტერატურასა და ხელოვნებას ეკუთვნის, რომელნიც ხალხიდგან დააწინაურებს ხოლმე იმათ, ვინც ემსახურება მათ არა სასყიდლისათვის და პირადის სარგებლობისათვის, — არამედ ემსახურება წრფელის გულით და სწირავს თავის სიცოცხლეს. მე იმითაც ბედნიერი ვარ, რომ მე ამომარჩიეთ საბაბად ლიტერატურისა და ხელოვნების პატივსაცემლად, იმის საბაბად, რათა ერთხელ კიდევ დაგვემტკიცებინა საზოგადოებისათვის, რომ სალიტერატურო და სახელოვნო მოღვაწეობა არის მასთანავე ღვაწლი წინაშე სამშობლოისა. სავსე ამ რწმენით, ვისურვებ გულით და სულით რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებასა და აყვავებას.

როგორც მიყრუებულ შემოდგომაზე, მწუხარე ხეს, ფოთოლის მაგიერ თოვლ-ყინულით მოსილს, ერთბაშად მზის სხივი დაადგეს და გაანათოს, ისე გააბრწყინოს და გაამშვენიეროს, როგორც ზაფხულშიაც-კი არ არის ხოლმე, და იქმნება გაათბოს კიდეც, — ისე დღევანდელი დღე ჩემის შემოდგომისა, მერწმუნეთ, მარად დარჩება ჩემს ხსოვნაში, როგორც ყოვლად უბრწყინვალესი.

### 50 წლის იუბილე მომზენისა

მთელმა განათლებულმა ქვეყანამ იცის მომზენის სახელი. რომელ მოწაფეს არ წაუკითხავს ამ მეცნიერის თხზულება, „რომაელთა ისტორია“. საკვირველი არ არის ამიტომ, რომ ბერლინში განზრახვა აქვთ დიდის ამბით გადიხადონ ამ მეცნიერის იუბილე. მომზენი ამ ჟამად იტალიაში სცხოვრობს. ყოველ ზაფხულს მიდის იტალიაში და მთელის თვეობით მუშაობს ბიბლიოთეკებსა და არქივებში. როცა ბერლინში, ყოველ დღე მიდის სამეფო ბიბლიოთეკაში და კითხულობს რომელსამე ძველს ეტრატს. მომზენი მეტად მოხუცებულია, მაგრამ ისევ მხნედ და მუყაითად მუშაობს. გარდა ამისა მომზენი დიდს ყურადღებას აქცევს საზოგადო საქმეებსა და პოლიტიკასაც-კი. ოდესმე დეპუტატადაც იყო და ბისმარკის წინააღმდეგ გამოილაშქრა. ბისმარკი სასამართლოში უჩივლა მოზენს, შეურაცხყოფა მომაყენაო; მაგრამ სასამართლომ მომზენი გაამართლა. მას შემდეგ პატივცემული მოხუცი ისე ძლიერ აღარ მისდევდა პოლიტიკას, მაგრამ მისი სახელი მაინც ხშირად აწერია ხოლმე თავისუფალ მოაზრეთა პროკლამაციებს. როგორც პროფესორი ვირხოვი, მომზენიც სიბერემდე თავისუფლებისა და სიმართლის მოციქულად ითვლება.

### თეატრის მატიანე

ამას წინად პეტერბურგის თეატრში წარმოადგინეს ახალი პიესა „ჟაკ დამური“. პიესა გადმოკეთებულია ზოლას რომანიდგან, რომელსაც იგივე სახელი ეწოდება. აი მოკლედ შინაარსი ამ პიესისა.

ჟაკ დემურმა ავაზაკობა ჩაიდინა, გაიქცა ახალშენებში და პარიჟს დასტოვა ცოლი ფელისი და თავისი ქალიშვილი. დიდ ხანს აღარ დაბრუნდა ჟაკ დამური. ფელისი დარწმუნდა, ჩემი ქმარი ცოცხალი აღარ არისო და ერთს მდიდარ ვაჭარს მისთხოვებია, გვარად სალარს. სალარს ძლიერ უყვარს ფელისი და მისი ქალი (დემურისაგან) პოლინა. სწორედ იმ დროს, როცა სალარი და ფელისი ბედნიერნი და კმაყოფილნი არიან, უცბად მივა ამათთან მეგობარი ბერგიდა და გამოუცხადებს, ჟაკ დამური პარიჟს მოვიდაო. დემურიც მალე გაჩნდება და ფელისს სთხოვს, გამომყევიო. ფელისი ამაზედ არა სთანხმდება. ჟაკ დემური ჰკითხავს: „სად არის ჩემი შვილი პოლინაო!. ცოლი ატყუებს, პოლინა დიდი ხანია, გარდაიცვალაო. მაშინ დემური უარს ამბობს ცოლის წაყვანაზედ... მაგრამ სწორედ ამ დროს შემოირბენს პოლინა. მამა მაშინვე იცნობს, მაგრამ თავის სიტყვას აღარ უმტყუნებს და იმდენად შეურიგდება თავის ბედსა, რომ ფელისთან და სალართან ერთად სადილობს და მათ სადღეგრძელოდ ღვინოსა სვამს.

### ბიბლიოგრაფია

Д—ръ Е. А. Покровскій. Дѣтскія игры и гримнастика Вь Отнашеніи Воспитанія и здоровья молодежи.

ამ ჟამად პედაგოგია და მთელი საზოგადოებაც დიდს ყურადღებას აქცევს ყმაწვილების ფიზიკურს აღზრდას. შვეიცარიისა, საფრანგეთისა და გერმანიის პედაგოგები ამტკიცებენ, რომ გიმნასტიკა არამც თუ სასარგებლოა ყმაწვილებისთვის, არამედ მავნებელიცაო. ზემოხსენებულ წიგნის ავტორი ბ-ნი პოკროვსკიც ამ აზრისაა და ამტკიცებს, რომ გიმნასტიკა უნდა მოისპოს სკოლებში და მის მაგიერად შემოღებულ იქმნას თავისუფალი თამაშობა და ვარჯიშობა. სხვა-და-სხვა თამაშობა ფრიად სასარგებლოა ყმაწვილის ჯანმრთელობისთვის და ამასთანავე სასიამოვნოც არის, რადგანაც თავისუფალია და ძალ-დაუტანებელი. ხოლო გიმნასტიკა ძალდატანებაა და ამიტომ უსარგებლოა და მავნებელიც-კი. ბ-ნ პაკროვსკის აზრით, გიმნასტიკა საჭიროა და სასარგებლო მხოლოდ იმ ყმაწვილთათვის, რომელთა წლოვანება 25 წელს აღემატება.

## უცხოეთი

**ინგლისი.** საზოგადოებათა პალატის კრებაზედ ლაბუშერმა სთქვა, კრებანი გადავდოთ და ამით გამოვუცხადოთ მთავრობას ჩვენი უკმაყოფილება იმის გამო, რომ მთავრობამ ნება დართო სამხრეთ-აფრიკის საზოგადოებას კადნიერად მოჰქცეოდა მატაბელებს და ბოლოს ომიც-კი დაეწყო მათთან. მატაბელებს სრულიადაც არა სურდათ ჩვენთან ომი. ეს ომი გამოიწვია სამხრეთ-აფრიკის საზოგადოებამ, რომელიც ავაზაკებივით ექცეოდა იქაურ ერსა. ლაბუშერმა ითხოვა, რაც შეიძლება მალე მოვსპოთ ომი მატაბელების წინააღმდეგ და დავუბრუნოთ სესილ როდსი და მისი თანაშემწენი; მთავრობა ვერ იტყვის, მათს ქცევაში დანაშაული არ მიგვიძღვისო, რადგანაც სამხრეთ-აფრიკის საზოგადოებას თვით დედოფლის მიერ აქვს მინიჭებული უფლებანი. ამაზედ გლადსტონმა უპასუხა: მთავრობა სულაც არა ფიქრობს, აიცდინოს პასუხის გება მატაბელების საქმეში და ვერც დასთანხმდება როდსის დაბრუნებაზედაო. ამასთანავე გლადსტონმა უსაყვედურა ლაბუშერს, სამხრეთ-აფრიკის საზოგადოება კადნიერის სიტყვებით მოიხსენიეო. ლაბუშერის მოხსენება კრებამ ერთხმად უარჰყო.

**ისპანია.** გაზეთებში დაბეჭდილია დაწვრილებული ცნობანი ისპანიის თეატრში ყუმბარების აფეთქების შესახებ. ერთი ყუმბარა ქალს კალთაში ჩაუვარდა და მხოლოდ იმიტომ არ იფეთქა, რომ ეს ქალი უკვე მოკლული იყო პირველის ყუმბარით. წინააღმდეგ შემთხვევაში ქალს უეჭველია შეეშინდებოდა, წამოხტებოდა, ყუმბარა ძირს დაეცემოდა, იფეთქებდა

---

ჯერ ერთი ეს ვიკითხოთ, შესაძლებელი კია ყველაფრის გამორკვევა ბანკის საზოგადო კრებაში? შესაძლებელია ხუთას-ექვსასმა კაცმა ორსამ დღეში შეითვისოს, გაიცნოს და მსაჯულადაც გამოდგეს იმისთანა საგნებში, რომელიც თვით ბანკის უფროსს ცხრამეტ წელიწადში ვერ შეუგნია? მაგრამ მანც ამის მიუხედავად თვით ჩვენვე რამდენჯერმე მივმართეთ საზოგადო კრების მსჯავრს, მივმართეთ მაშინ, როდესაც მრავლისაგან უმრავლესს ყოველი სიტყვა თ. ჭავჭავაძისა უცილობელ ჭეშმარიტებად მიაჩნდა და ხოტბა-ქების ტაშს უკრავდა; როდესაც ყოველი მისი მოწინააღმდეგე დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ ხმა მისი დარჩებოდა ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა. არ მოვერიდეთ უეჭველს დამარცხებას იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან სიმართლე თავს გაიტანდა და პირ-მოთნეობას, საქმის გაურჩევლად თაყვანისცემას შემთხვევით გაძლიერებულთადმი ბოლო მოეღებოდა. ჩვენ თითონ მივმართეთ მეთქი კრებას, როგორც უმაღლესს სამსჯავროს, მაგრამ თვით ისინი, რომელნიც ეხლა კრებას ებღაუჭებიან, მაშინ საბუთებს-მოკლებულნი ყოველ ჩვენს სიტყვას პირადობას აწერდენ და კინკლაობად, ერთმანერთის წეწვაგლეჯად იხსენიებდენ.

ჩვენ თითონ ვამბობდით სხვათა შორის ამ კრებაზედ ჯანდიერების მამულის წინ-დაუხედავად გაყიდვის გამო:

„აქ საქმე ის კი არ არის რომ ასეთი ამბავი ჯანდიერს დამართებია, რადგანაც შეიძლება ხვალ მეორეს დაემართოს, ზეგ მესამეს და სხვა. კრება უმაღლესი სამსაჯულოა და ამ კ<sup></sup>ებამ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი, შესაწყნარებელია ასეთი საქმე თუ არა“ („ივერია“ №110 1892 წ.)

და თ. ჭავჭავაძე კი ამას გვიპასუხებდა:

„როცა ეს თ. ჯანდიერების საქმე წამოაყენეს, აქ საქმეებში ჩახედული კაცი ყოველთ უწინარეს ამას იკითხავდა, კრებას რა ხელი აქვს ამისთანა საქმეებთან?.. რაკი ნებას მივცემთ, ვისაც რა სურს, იმაზე ილაპარაკოს და მოაცდინოს კრება, ერთმა და ორმა კაცმა, შორს-კი ჩვენგან ამისთანა კაცები, რომ მოინდომოს ჩვენი სასაცილოდ აგდება, ეს უწესოება მიზეზს მის ემ, გზას გაუხსნის ჩვენდა სასაცილოდ აგდებისას. („ივერია“, № 110, 1892 წ.)

მეორე შემთხვევაში, როცა საბუთებით, და მხოლოდ საბუთებით ხელში კრებაზედ დავუმტკიცეთ თ. ჭავჭავაძეს რომ მას სრულიად არ ესმოდა მნიშვნელობა კონვერსიისა და ვერც მოახერხებდა ასე მომზადებული მის დაბოლოებას, მან ჩვენის საბუთების გამტყუნების მაგიერად, ეს წარმოსთქვა.

„დიდად სამწუხაროა, რომ კრება საქმისათვის მოწვეული, უსაქმო საგნებზე ლაპარაკით, იძულებულნი ვართ, მოვაცდინოთ. ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენ შორის უმართებულო (?!) სიტყვის სროლას, პირადობით გამოწვეულს, ადგილი აქვს და არც ერთი კრების წევრთაგანი სარჩლს არ უწევს ღირსებას კრებისას, რომელსაც საქმე უნდა უნდოდეს და არა წეწვა-გლეჯა ერთმანერთისა.“ („ივერია“ № 42, 1893 წ.).

მისნი მომხრენი ფრიად გავლენიანნი და ყველასაგან პატივცემულნი პირნი კვერს უკრავდენ თ. ჭავჭავაძეს და ცდილობდენ უსიამოვნო გარემოებიდამ მის დახსნას შემდეგის სიტყვებით:

„რა უბედურებაა, რომ სამი დღეა აგერ ვზივარ და ვისმენ იქ ეთს ლაპარაკს, რომელიც სრულიად არ არკვევს საქმეს. ვერ გამიგია, რა საჭიროა ასეთი კინკლაობა, კერძოობისა და პირადობის შესახები ლაპარაკი. ჩვენ ხომ მოსამართლენი არა ვართ, რომ ან ეს გავიკითხოთ, ან ისა. («ივერია» № 42, 1893 წ.)

დიაღ, ასე და ამა პირსა ზედა: როცა ჩვენ მედიატორეთა სიმართლით გვინდა სიმართლის გამორკვევა, კრებაში გვიწვევენ და გვეუბნებიან, — ჩვენი მოსამართლე ბანკის კრებააო და როცა იმავე კრებაში ვცდილობდით უსამართლობასთან და უმეცრებასთან შებრძოლებას, ჩვენს სიტყვებს აწერდენ პირადობას, ერთი ერთმანეთთან კინკლაობის სურვილს, გვაჩუმებდენ და გვეუბნებოდენ, ჩვენ ხომ მოსამართლენი არა ვართ, ან ეს გავიკითხოთ, ან ისაო.

მაგრამ ჩვენ ყოველთვის დარწმუნებულნი ვიყავით და ვართ, რომ ამ გვარის ხერხებით, ამ გვრის წაჯეგუკუჯეგობით სიმართლეს სამუდამოდ ხელს ვერავინ დააფარებს, ადრე თუ გვიან თვალსაჩინოდ გამოაშკარავდება და კრება იქნება თუ გაზეთი ამ სიმართლის გამოსარკვევი ასპარეზი, იგი მაინც თავისას გაიტანს, მაინც სახლში შემოგვეჭრება, კარიც და ფანჯრებიც რომ ცხრა-კლიტულით დავუკეტოთ. ამ ჟამად-კი დროა ამ საგანზედ თ. ჭავჭავაძესთან მოვსპოთ ყოველივე ბაასი, რადგან ის „თაკილობს ამ ბავშურ კამთობას და გამოწვევას, დიაღ თაკილობს და ღმერთმა ტკბილად შეაბეროს იგი ამ თაკილობის გრძნობასთან, ჩვენ-კი შორს გვამყოფოს დღესაც და კვლავაც ასეთს მდგომარეობასთან, რომელსაც „თაკილობის“ მეტი აღარა შერჩენია-რა.

ი. მაჩაბელი

6 ნოემბერი. 1893.

და კიდევ მრავალ ხალხს იმსხვერპლიდა. ამბობენ, რომ ბოროტ გამზრახველთ მარშალის მარტინეზ კამპოსიის მოკვლა უნდოდათო. ანარქისტების ჰგონებიათ, თეატრში იქნებაო, მაგრამ მარშალი იმ დღეს შინიდგან გარედ არაც-კი გამოსულა, რადგანაც ჭრილობა ჯერ არ მორჩენია. მარშალის ოჯახობა-კი თეატრში იყო, მაგრამ არავინ დაშავებულა. თეატრშივე დააპატიმრეს ორი ანარქისტი: სოლდენი და მერიერა. შემდეგ კიდევ 50 ანარქისტი დააპატიმრეს, ნამდვილი დამნაშავენი-კი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. თეატრში მოკლულნი უკვე დაასმარხეს. სულ ყუმბარებით თეატრში მოკლულ იქმნა და შემდეგ ჭრილობებისაგან გარდაიცვალა ორმოც კაცზედ მეტი, დაჭრილთა რიცხვი-კი ასზედ მეტია თურმე.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

ამერიკის თეატრების ერთის სააგენტოს პატრონს გამოუანგარიშებია, რომ 22 წლის განმავლობაში ამ სააგენტოს მისვლია 10,000 პიესა, ე. ი. წელიწადში 500. ამერიკელებს ძლიერა ჰყვარებიათ ახალ პიესების წერა. როცა გაზეთმა „New-Iork Herald“ მა გამოაცხადა, ვინც საუკეთესო ერთ-მოქმედებიან პიესას დასწერს, პრემიას მივცემო, ამ გაზეთის რედაქციას 600 პიესაზედ მეტი მოუვიდა.

## გასართობი

ორი კაცი მესამეს ქაღალდს ეთამაშებოდა. პირობა ისე იყო, რომ პირველი და მეორე მოგებაშიაც ამხანაგები უნდა ყოფილიყვნენ და ზარალშიაც. უცბად მესამემ შეამჩნია, რომ ერთმა მათგანმა ქაღალდი მოიპარა. წამოდგა და ერთი ლაზათიანი სილა სტკიცა. ამანაც თავის მხრივ ამხანაგს სილა უთავაზა და უთხრა: „პირობის ძალით ჩვენ ყველაფერი ორად უნდა გავიყოთო“.

—

ერთი ჭორიკანა ქალბატონი, რომელსაც ჭორებით კინაღამ მთელი ქალაქი ამოეგდო, სტუმრად იყო. შემოვიდა მოსამსახურე და ამ ქალბატონს მიართვა ერთი მოზდილი ყუთი, ეს არის ეხლა ვიღაცამ მოიტანაო: ქალმა სიხარულით წამოიძახა: „ახ, ეგ ჩემი ახალი მოდის შაპო იქნება, პეტერბურგიდგან დავიბარეო“. ცნობის მოყვარე ქალები შემოეხვივნენ. დიასახლისი ყუთის ახდაში დაეხმარა და ყუთში ხარის უშველებელი ენა აღმოჩნდა! ყუთში შემდეგი ბარათი იდო: „რადგანაც თქვენ, ქალბატონო, ჭორები ძლიერ გიყვართ და ენას მეტად ასაქმებთ, ამიტომ გვშიშობთ, ფილტვები და ენა არ დაგიზიანდეთ, და ეს-კი ძლიერ დიდი დანაკლისი იქნებოდა ჭორიკანას დედათა კომიტეტისთვის. ამიტომ, ნიშნად ჩვენის თქვენდამი პატივისცემისა, გიგზავნით ამ ენას, რომელიც გამოგადგებათ, თუ ვინიცობაა თქვენი საკუთარი ენა ბევრის ჭორიკანობისაგან ისე დაიღლება, რომ ლაპარაკს ვეღარ შესძლებს.

—

ერთმა კაცმა ერთის ვექილს მიჰმართა და სთხოვა, ხვალ ჩემი საქმე ირჩევა სასამართლოში და ვექილად დამიდექიო. ვექილმა უპასუხა: «შენ მართალი ხარ ამ საქმეში მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა გვიან მომმართე. დღეს დილით შენი მოწინააღმდეგე მოვიდა ჩემთან და იმას დავუდექი ვექილად.»

— მაგრამ თუ კი, თქვენის სიტყვით, სიმართლე ჩემკენ არის, მაშ მოწინააღმდეგე მართალი არა ყოფილა!

— ეგ ხვალ სასამართლოში გამოჩნდებაო, მიუგო ვექილმა.

## გამოსადეგი ცნობა

ხეხილის გაპატივება. ხეხილი რომ ნაყოფიერი იყოს, გაძლე, ყინვა-სიცივის ამტანი, საჭიროა ძირში მიწა გაუპატივდეს. ეს თითქმის ყველამ იცის. ხოლო საქმე იმაშია, რა დროს და რა ნაირად უნდა გაპატივება მიწას.

საზოგადოდ ცნობილია, რომ პატივი მაშინვე-კი არ მისცემს ხეხილს ნოყიერობას, არამედ კარგა ხნის შემდეგ, თითქმის ერთი წელიწადი მაინც უნდა გავიდეს პატივის დაყრიდგან.

მრავალგვარად უცდიათ, რა დროს სჯობიან პატივის დაყრა და აი რა აღმოუჩენიათ:

თებერვალსა და მარტში დაყრილი პატივი ხეხილის ზრდას ხელს უწყობს, ხოლო ნაყოფიერებას-კი არა, რადგანაც ამ დროს ხე წვენსა ანუ ნოყიერებას უკვე იზიდავს მიწიდგან და ამ წვენს ხე შეიმუშავებს კიდეც,ვიდრე პატივი მიწას მისცემდეს რაიმე ძალას.

გაუპატივებიათ ხეხილი ზაფხულის გასულს იმ აზრით, რომ რა-კი ხეხილს ნაყოფი აღარ ართმევს ძალას, სწორედ ეხლა კარგი დროა თვით ხეხილმა მოიკრიბოს ძალა და შემდეგისთვის უფრო ნაყოფიერი იყოსო. ხოლო ეს დროც ვერ გამოდგა შესაფერი, რადგანაც ხეხილსაც დასვენება უნდა და არის მოქმედების აღმძვრელი საშუალება.

სცადეს გაპატივება ხეხილისა შემოდგომის გასულს კარგა დაზამთრებამდე და კარგი შედეგი ჰქონდა.

გაპატივებაც სხვა-და-სხვა ნაირად უცდიათ: საქონლისა და ცხენის პატივი მეტად ღარიბი ყოფილა ნოყიერ ნაწილებით, როგორიც არის: კალი, კარისა, ფოსფორის სიმჟავე და აზოტი. ხეხილი რომ უფრო ნაყოფიერი იყოს, უნდა გაპატივდეს ერთმანერთში არეულ გოგირდ-მჟავე კალითა და სუპერფოსფატით[1]). საქონლის პატივი ნოყიერობას ცოტად უმატებს; ნაცარი უფრო კარგია; ხოლო საქონლის პატივი და ნაცარი, ერთად არეული, უმჯობესია. ესვე ითქმის ერთათ არეულ ნაცარს და სუპერფოსფატზედ. ხოლო საუკეთესო-კი გოგირდ-მჟავე კალი და სუპერფოსფატია, ერთად არეული.

აზოტიური ნივთიერება და კალი ხეხილს ყლორტებს უმატებს, ხოლო ფოსფორის სიმჟავეც, რომ ერიოს, მაშინ ნაყოფიერობასაც აძლევს. კაშლისთვის კარგია, რომ მეტი კალი ერიოს, მსხალისთვის-კი ფოსფორის სიმჟავე.

საზოგადოდ-კი ყველა ხეხილისათვის მარგებელია შემდეგი ნარევი: ძვლის ფქვილი 20 გირვანქა, ძვლის სუპერფოსფატი 10 გირვანქა, შეზღუდული კალი[2]) 20 გირვანქა, გოგირდ-მჟავე კალი 10 გირვანქა, ჩილის გვარჯილა[3]) 25 გირვანქა და ამზიაკის სუპერფოსფატი[4]) 25 გირვანქა.

[1], Сѣро.кислый кали и суперфосфоратъ.
[2]. Концентрированный кали.
[3]. Чилийская селитра.
[4]. Аммиачный суперфосфоратъ.

რაც შეეხება იმას, რამდენჯერ უნდა გაპატივება, ეს თვით მებაღემ უნდა მოისაზროს იმისდაკვალად, თუ რა ხნისაა ხე, რა ზომისა, აგრეთვე მიიღოს მხედველობაში ნიადაგის ძალა და ადგილობრივი ჰავა. რაც უფრო სუსტია ხე და ნელა იზრდება, რაც უფრო ღონე-გამოლეულია ნიადაგი, მით უფრო უხვად უნდა პატივი და ამ შემთხვევაში საფიქრებელი არ არის, რომ პატივი ჭარბად მოუვიდეს. თუ მიწა შავი და თავისთავად ღონიერია, მაშინ გაპატივება საფთხილით უნდა; ამ შემთხვევაშიაც-კი, თუ ხე ნელა იზრდება და ცოტა ნაყოფი მოაქვს, სჯობს გაპატივება სდომებია.

# დეპეშა

6 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** აქაური ინგლისის ელჩი მორიერი გარდაიცვალა მონტერეში.

**მადრიდი.** ოფიციალურის ცნობით, ადმირალმა მელლომ გამოაცხადა ბრაზილიის იმპერატორად დონპედროს შვილის-შვილი, გრაფ დე-ს შვილი.

**პარიჟი.** მარსელში რომ აფეთქება მოხდა, იმის გამო სასტიკი ღონისძიებაა მიღებული, მეტადრე უცხოელ ანარქისტების წინააღმდეგ და ამის ბრძანება გაიგზავნა მთელ საფრანგეთში; ყველგან სახლები უნდა დაჩხრიკონ.

6 ნოემბერის

**ვენა.** გუშინ გრაცში გარდაიცვალა გრაფი ჰარტენაუ, ბოლგარიის მთავრად ყოფილი ალექსანდრე.

**ვენა.** სტამბოლოვმა დეპეშა გაუგზავნა გრაფ ჰარტენაუს ქვრივს, გრაფის სიკვდილმა მთელი ბოლგარია მწუხარების განცვიფრებაში ჩააგდოვო.

ნაწლევების ანთების მიზეზი, რითაც გრაფი ჰარტენაუ გარდაიცვალა, ალუბლის კურკა ყოფილა, რომელიც გრაფს ჩაუყლაპავს. დასაფლავებას ბოლგარიის ჯარის წარმომადგენელებად სამი უფროსი-აფიცერი დაესწრება.

**ქაბული.** გუშინ ინგლისის მისსია ინდოეთ სკენ გაემგზავრა. ემირმა გამოსამშვიდებელი დურბარი გამართა, რომელზედაცა სთქვა, რომ დურანმა სასურველად დააბოლოვა ყოველი სადაო საქმე ავღანისტანსა და ინდოეთს შორისო. ემირმა ურჩია თავის ქვეშევრდომთ მარად ინგლისელების მეგობრები იყავითო.

**ბერლინი.** კონსერვატორებმა წარუდგინეს პარლამენტს განსახილველად მოხსენება იმის შესახებ, რომ აღკრძალულ იქმნას ებრაელთა გადმოსახლება გერმანიაში.

გუშინ, ახლად მოკრებილ ჯარის კაცებს რომ აფიცებდნენ, იმპერატორმა სთქვა: ჩემთვის საჭიროა ქრისტიანი ჯარის კაცი, რომელსაც ლოცვად აქვს „მამაო ჩვენო“ ჯარის კაცს თავისი სურვილი არ უნდა ჰქონდეს: თქვენ მხოლოდ ერთი სურვილი უნდა გქონდეთ—ჩემი სურვილი, როგორც არის მხოლოდ ერთი კანონი ჩემი კანონი.

7 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოში წარდგენილ იქმნა პროექტები: დედათა გიმნაზიების, დედათა სახელოსნო სკოლებისა და დედათა გამოცდისა მასწავლებლობის ღირსების მისაღებად; როგორ გაუადვილდეს სასოფლო საზოგადოებათა სანადელო გარდასახადის შეტანა; სამოსამართლო უწყებისა მომართვის შესახებ იმ ადგილებში, სადაც ციმბირის რკინის გზა გაივლის.

1 ნოემბერს 500 მანათიანი მოგებანი ჰხვდა შემდეგ ბილეთებს:

| №№ სერ. | №№ ბილ. | №№ ბილ. | №№ სერ. | №№ ბილ. | №№ სერ. |
|---|---|---|---|---|---|
| 10 | 45 | 5424 | 19 | 10347 | 33 |
| 124 | 15 | 5425 | 42 | 10372 | 23 |
| 152 | 4 | 5443 | 4 | 10413 | 25 |
| 162 | 12 | 5473 | 5 | 10416 | 8 |
| 368 | 8 | 5474 | 9 | 10437 | 41 |
| 389 | 38 | 5527 | 17 | 10536 | 5 |
| 391 | 27 | 5539 | 30 | 10614 | 40 |
| 412 | 38 | 5695 | 26 | 10671 | 46 |
| 837 | 9 | 5708 | 16 | 10703 | 6 |
| 871 | 6 | 5805 | 4 | 10703 | 25 |
| 889 | 39 | 5865 | 12 | 10748 | 21 |
| 930 | 07 | 5885 | 17 | 10762 | 15 |
| 932 | 29 | 5903 | 1 | 10848 | 34 |
| 937 | 26 | 6126 | 19 | 11113 | 19 |
| 970 | 12 | 6128 | 20 | 11150 | 21 |
| 1060 | 36 | 6209 | 40 | 11162 | 8 |
| 1164 | 10 | 6266 | 43 | 11175 | 2 |
| 1222 | 6 | 6356 | 50 | 11192 | 24 |
| 1261 | 33 | 6369 | 43 | 11358 | 40 |
| 1263 | 13 | 6440 | 14 | 11468 | 17 |
| 1304 | 35 | 6528 | 19 | 11471 | 8 |
| 1333 | 7 | 6545 | 21 | 11521 | 21 |
| 1579 | 20 | 6550 | 7 | 11528 | 42 |
| 1596 | 21 | 6588 | 34 | 11600 | 20 |
| 1640 | 9 | 6613 | 50 | 11699 | 3 |
| 1669 | 22 | 6629 | 43 | 11743 | 21 |
| 1721 | 2 | 6665 | 9 | 12050 | 7 |
| 1756 | 14 | 6722 | 20 | 12108 | 13 |
| 1765 | 28 | 6743 | 35 | 12167 | 27 |
| 1819 | 49 | 6804 | 30 | 12243 | 33 |
| 1854 | 21 | 6810 | 41 | 12277 | 28 |
| 1861 | 17 | 6844 | 34 | 12547 | 29 |
| 1930 | 3 | 6966 | 44 | 12616 | 26 |
| 2027 | 24 | 7109 | 8 | 12632 | 43 |
| 2134 | 16 | 7138 | 31 | 12653 | 44 |
| 2276 | 15 | 7230 | 21 | 12799 | 9 |
| 2358 | 36 | 7252 | 18 | 12959 | 44 |
| 2369 | 22 | 7260 | 36 | 13049 | 11 |
| 2380 | 14 | 7369 | 25 | 13118 | 28 |
| 2543 | 25 | 7383 | 16 | 13164 | 41 |
| 2547 | 12 | 7403 | 1 | 13189 | 10 |
| 2638 | 38 | 7454 | 19 | 13289 | 43 |
| 2696 | 34 | 7465 | 21 | 13438 | 18 |
| 2806 | 38 | 7560 | 46 | 13445 | 39 |
| 2814 | 37 | 7578 | 19 | 13525 | 32 |
| 2879 | 29 | 7659 | 4 | 13781 | 17 |
| 2998 | 34 | 7726 | 19 | 13788 | 42 |
| 3035 | 4 | 7816 | 49 | 13873 | 26 |
| 3114 | 33 | 7849 | 14 | 13902 | 32 |
| 3151 | 8 | 7882 | 7 | 13953 | 36 |
| 3199 | 8 | 7897 | 33 | 14034 | 28 |
| 3267 | 3 | 7930 | 46 | 14087 | 35 |
| 3328 | 4 | 7960 | 43 | 14115 | 42 |
| 3357 | 38 | 7976 | 20 | 14146 | 8 |
| 3370 | 47 | 8047 | 4 | 14147 | 21 |
| 3500 | 10 | 8049 | 9 | 14187 | 13 |
| 3624 | 43 | 8052 | 12 | 14193 | 14 |
| 3701 | 3 | 8056 | 32 | 14350 | 47 |
| 3751 | 12 | 8158 | 43 | 14412 | 42 |
| 3754 | 10 | 8195 | 43 | 14458 | 47 |
| 3774 | 45 | 8584 | 34 | 14506 | 13 |
| 3873 | 9 | 8638 | 13 | 14548 | 28 |
| 3920 | 39 | 8752 | 4 | 14634 | 37 |
| 3975 | 7 | 8804 | 20 | 14799 | 37 |
| 4248 | 45 | 8967 | 14 | 14816 | 35 |
| 4264 | 8 | 9022 | 44 | 14843 | 6 |
| 4314 | 2 | 9029 | 27 | 14861 | 8 |
| 4324 | 37 | 9115 | 35 | 14924 | 12 |
| 4387 | 4 | 9141 | 34 | 14939 | 29 |
| 4465 | 34 | 9162 | 14 | 15010 | 18 |
| 4489 | 17 | 9195 | 19 | 15155 | 49 |
| 4540 | 46 | 9323 | 21 | 15236 | 49 |
| 4791 | 10 | 9342 | 28 | 15252 | 1 |
| 4798 | 20 | 9346 | 3 | 15294 | 45 |
| 4884 | 8 | 9367 | 23 | 15404 | 15 |
| 4884 | 15 | 9435 | 6 | 15422 | 26 |
| 4916 | 31 | 9451 | 4 | 15484 | 16 |
| 4988 | 1 | 9456 | 21 | 15510 | 33 |
| 4988 | 3 | 9479 | 14 | 15673 | 37 |
| 5019 | 27 | 9534 | 12 | 15694 | 35 |
| 5093 | 29 | 9638 | 43 | 15738 | 50 |
| 5102 | 18 | 9865 | 7 | 15757 | 17 |
| 5304 | 10 | 9879 | 37 | 15913 | 32 |
| 5327 | 33 | 10021 | 18 | 15923 | 8 |
| 5355 | 29 | 10092 | 20 | 15950 | 48 |
| 5357 | 11 | 10102 | 3 | 15982 | 24 |
| 5407 | 35 | 10219 | 21 | | |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. სალ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. სალ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. სალ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. სალ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღისა.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: სალ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასრკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.


# განცხადებანი

**ქუთაისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ გამგეობაში არის დანიშნული 22 ამა ნოემბერს ვაჭრობა იჯარით გასაცემად ქალაქის ახალი საყასბოსი თანახმად გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვისა 26500 მანეთად.

მსურველთ შეუძლიანთ გაეცნონ ხარჯთ-აღრიცხვასა და გეგმას კანცელარიაში ყოველ დღე დილის თერთმეტ საათიდამ ნაშუადღევის ორსაათამდე.

(3—2)

დაიბეჭდა ბ-ნ ზაქარია ჭიჭინაძისაგან და ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

მართა, მოთხრობა ანტ. ფურცელაძისა . . . . 40 კაპ.

ჩვენებური საქმის ბოლო, მისივე . . . . . . 20 კაპ.

ლექსნი, თქმულნი მიხ. გორდამის-მიერ . . . 15 კაპ.

(3—0—2)

გამოვიდა და ისყიდება ოზურგეთში და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის მაღაზიაში და სხვაქალაქებში, სადაც-კა ქართული წიგნი იყიდება

## თამარიანი

ისტორიული პოემა
შაირ წყობილად თქმული
თ. ს. გუგუნავას-მიერ
მეორე გამოცემა
ფასი 50 კაპ.


Доз. ценз. Тифлисъ, 8-го Ноября 1893 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.